**ფასი 30 თეთრი**

*... მშვენიერი მაისიც მოვიდა! ...*

# ფანტაზია

№ 14 (40)

29.04 - 5.05 | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | 1997 წელი

## დროებით გემშვიდობებით

## კასანდრა



## დღევანდელი ნომრის თემები:



## ქალი

... და სილამაზე!

... და სიყვარული!

... და ფული!

... და კომპიუტერი!



ნომრის სტუმარია

შემშვენიერესი დემი მური



**საკროსვორდო ჩემპიონატი განახლდება 5 მაისს**

## ?! მალულა ?!

**პრიზი 10 ლარი**



თარაზულად: 10. საბჭოთა ეპოქის უკანასკნელი 'ლონისძიება" 11. ქართველი მხატვარი და იუმორისტი. 13. კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ძველი სახელი. 14. ესპანეთის მცხოვრები. 16. შენობის შიდა ნაწილი. 17. სატრანსპორტო შემმოწმებელი (ახლო წარსულში). 19. აზერბაიჯანის ქალაქი. 21. ქართველი კინორეჟისორი; 22. (შორს თქვენგან!) თბილისის ერთ-ერთი განსასვენებელი. 25.ძვ. წ. პირველი საუკუნის რომის იმპერატორი. 26. თბილისური რძის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა. 27. (ბატონი) ლონდონი. 30. იმპრესიონიზმის ერთ-ერთი მამამთავარი. 31. კასანდრას უერთგულესი მეგობარი. 32. რა აუკრძალა ბულიკამ საკუთარ თავს (მრ. რ.)? 33. სამთამადნო წარმოების მიწისქვეშა 'დაწესებულება" 34. მე-19 ს. ინგლისელი მწერალი. 36. ღრმული, რაშიც კბილია მოთავსებული. 39. იტალიელი კინომსახიობი ქალი. 41. ძვ. ეგვიპტური ღვთაება. 42. ბუნების დაუმორჩილებელი ფენომენი (ქალზე არ მოგახსენებთ!). 43. საქართველოს დიპლომატიური ლიდერი. 46. იტალიური ესტრადის მომღერალი. 49. მე-19 ს. ინგლისელი მწერალი ქალი. 50. ევროპის ჯუჯა სახელმწიფო. 51. ქალაქი ავსტრალიაში.

შვეულად: 1. მოწინააღმდეგისა და ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა. 2. რა ჰქონდა სახასიათო ბერიას? 3. იტალიელი ვიოლინოს მწარმოებელი. 4. ანომალური მოვლენა. 5. 'აშუღის" შუააზიელი კოლეგა. 6. (სომხურსახელიანი) პერსონაჟი შექსპირისა. 7. საბიზნესო წილი. 8. ფეხსაცმლის სახესხვაობა. 9. ქართული კინოზღაპარი. 12. თეატრალური წარმოდგენის დასკვნითი „პროცედურა" (მრ. რ.) 15. როგორი სტილი აქვთ სიკეიროსს და წერეთელს (გეკითხებით — როგორი?). 18. ჟერარ ფილიპის ერთი ფილმის სათაურის გაორმაგებული ნაწილი. 20. თაბაშირის სახესხვაობა. 23. ტალახის სახესხვაობა". 24. გახდომა — (წონის) კორექციის სისტემათა ერთობლიობა. 28. ქართველი მთარგმნელი, ფოლკლორისტი, ირანისტი... თამადა! 29. საკონდიტრო ნაწარმი. 35. სიშიშვლესთან დაკავშირებული 'ფილოსოფია". 37. უებარი საშველი. 38. სპეციფიური ქართული სახელი მამაკაცისა. 40. ურმის შემადგენელი 'კონსტრუქცია". 44. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში. 45. 70-იანი წწ. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე. 47. კავკასიონის მწვერვალი. 48. იაპონელი მწერალი-ფანტასტი.

## ნომრის ანეკდოტი



ქალაქელი და მთიელი შეხვდნენ ერთმანეთს.

— შენი ძმა გამაცანიო — უთხრა ქალაქელმა.

— ჩემი ძმა, აი, იქ ზის და ჩიბუხს ეწევაო — უთხრა მთიელმა.

— იქ ჩიბუხს ყველა ეწევაო?

— აი, ჩემი ძმა ის არის, ქუდი რომ ახურავსო!

— იქ ქუდი ყველას ახურავსო?!

— ჩემი ძმა წვერიანიაო!

— იქ ყველა წვერიანიაო!

— თოფი მომაწოდეო? — მოისაზრა ბოლოს მთიელმა, გამოართვა მას თოფი, დაუმიზნა, ესროლა და ერთი კაცი მიწაზე გააგორა.

— ის კაცი ხომ დაინახე, დაბლა რომ დავარდაო?

— კიო — უთხრა ქალაქელმა.

— ჰოდა, ეგ იყო ჩემი ძმა!



გასულ ნომერში კროსვორდის უკან „იმალებოდა“

**ნინო ანანიაშვილი**

სწორი პასუხი ვერავინ გამოიცნო.

## ნომრის ციტატა

ფულსა და სიყვარულს მრავალი საერთო თვისება აქვთ და მათ შორის მთავარი — ორივე მათგანი გამუდმებით უნდა მოძრაობდესო.

*გი დე მოპასანი*

**სტუდია „ვიდეოეკრანი“ გთავაზობთ: უკანასკნელი კვირის ვიდეო და აუდიო ჰიტ-პარადებს**

იხილეთ მე-4 გვერდი

# ... სილამაზე

## „შიშველი ნატურა ჩემი არტისტიზმის მხატვრული ენაა...“



### ჰოლივუდის ყველაზე ძვირადღირებული სხეული

# DEMI MOORE

დემი მური ჯერ კიდევ „მოჩვენებას“ შემდეგ გახდა ყველასათვის ცნობილი მსახიობი, რასაც არანაკლებ გახმაურებული როლი მოჰყვა ფილმში „უხამსი წინადადება“ (რობერტ რედფორდის გვერდით), სადაც დადასტურდა ის შეხედულება, რომ დემი მური მზადაა პირველივე შესაძლებელ შემთხვევაში გაშიშვლდეს და მაყურებელს თავისი სხეულის მშვენიერება აჩვენოს; თუმცა ისიც ცნობილია, რომ მის ნაქანდაკარ მკერდს, თეძოებსა და ფეხებს გარკვეული დროის წინ პლასტიკური მედიცინის სპეციალისტები ქმნიდნენ და თანაც ერთობ საშუალო დონის „ნედლეულისაგან“.

დაბადებით დემიტრი ჯინ გინესი სულ რაღაც 15 წლის იყო, როცა მისმა ლოს-ანჯელესელმა მეზობელმა ნასტასია კინსკიმ მას ეკრანზე შიშველი გამოჩენის გაკვეთილი ჩაუტარა, ანუ ასეთი რჩევა-დარიგება მისცა: „უკომპლექსობა და სექსუალობა ქალის თვითდამკვიდრების ერთადერთი საშუალებააო“. და იმით დაიწყო მომავალმა კინო (პორნო) ვარსკვლავმა თავისი კარიერა, რომ პორნოჟურნალებისათვის სიშიშვლის ნაირგვარ დემონსტრირებას ახდენდა, პარალელურად კი რომანი ჰქონდა ბრიტანელ როჯერ ფრედი მურთან, რომლისაგანაც, გვარის გარდა, არაფერი შერჩა. დემის პირველი ფილმი „წმ. ელმის ჩირაღდნები“ იყო, 1985 წელს, რასაც ზემოთხსენებული „მოჩვენება“ მოჰყვა (პატრიკ სუეიზთან ერთად). ცხოვრების წესი კი თითქმის არ შეუცვლია და კვლავაც დააქროლებდა თავის მოტოციკლს ლოს-ანჯელესის ქუჩებში. არცერთ წვეულებას არ აცდენდა, ცნობილ ემილიო ესტევესთან „რომანს“ აწრიალებდა და.. ახალ როლს დაეძებდა. მისი ოცნება ის იყო, რომ როგორმე „ძირითად ინსტიქტში“ მიეღო მთავარი როლი, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, რეჟისორმა პოლ ვერხოვენმა შერონ სტოუნის კანდიდატურა არჩია. დემის თქმით „ეს როლი იმით იყო მიმზიდველი, რომ აქ ფილმის გმირი ქალი თავისი სექსუალობის გამგებელი თავად არის და სულაც არ ჰგავს იმ ფილმების პერსონაჟებს, რომლებიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს მათ მხოლოდ გაუპატიურებას უპირებენ“.

შერონ სტოუნისაგან განსხვავებით, რომელმაც შეწყვიტა „ამგვარ“ გადაღებებში მონაწილეობა, დემი მური კინოგადასაღებ მოედანზე სულ უფრო ხშირად და მეტად შიშვლდება. იგი დედაშობილა გადაიღეს უკვე შვიდ ფილმში, სულ ახლახანს კი დევიდ ლეტერმანის სკანდალურ შოუში წარმოაჩინა თავისი სხეულის მშვენიერება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 33 წლის ქალს, რომელსაც სამი შვილი ჰყავს, ყველანაირი პოლიტიკური შეხედულებების თუ მორალის მქონე სუბიექტების თამაში შეუძლია.

„მე მიყვარს ყველაფერი, რაც საკამათო და საეჭვოა; კამათი ხომ ის საშუალებაა, რაც ჩვეულებრივი მოვლენის ახლებურად დანახვას განაპირობებს — ამბობს მსახიობი — მე ვერ ვხედავ პარადოქსს იმაში, რომ ვიყო ფემინისტი და საბედისწერო ქალების როლი ვითამაშო.

მისი ყველაზე ცნობილი და ყველაზე საკამათო როლი „სტრიპტიზიორი ქალი“ გახლავთ, სადაც მოთხრობილია ამბავი კორუმპირებული პოლიტიკოსების თავშეყრის შესახებ ფლორიდის სტრიპ-კლუბში. ემზადებოდა რა ამ ფილმისათვის, დემი მური თავის მეუღლესთან, ბრუს ვილისთან, ერთად ნიუ-იორკის სტრიპ-კლუბებში დადიოდა, სადაც დაბეჯითებით სწავლობდა იქაური გოგონების სექსუალურ იმიჯს, ამბობენ, რომ დემი ამ კლუბებში გამუდმებით ეკითხებოდა გამომსვლელებს — „სასიამოვნოა თუ არა სიშიშვლეო?“ — და რაღაც რჩევებს აძლევდა; იმასაც ამბობენ, რომ მან საკმაოდ დიდი თანხა დაურიგა გოგონებს მადლობის ნიშნად.

ისევ დემის მოვუსმინოთ:

„ეს ქალები სტრიპტიზიორის პროფესიას სხვადასხვა მიზეზის გამო ირჩევენ; ზოგს იმისათვის სჭირდება ფული, რომ შვილების სწავლის ფული გადაიხადოს, ზოგიერთს ეს შეთავსებით სამუშაოდ აქვს გამოყენებული და მცდარია ის აზრი, რომ სტრიპტიზიორები ალკოჰოლს და ნარკოტიკებს გადაყოლილი სუბიექტები არიან. მათ იციან თავისი საქმე და კარგად აქვთ შეთვისებული მამაკაცებისაგან ფულის ამოღების ხელოვნება.



თავისი ქმრის ორმოცი წლის აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე დემიმ ბრუსს სიურპრიზი გაუკეთა — უზარმაზარი ყუთი მიართვა, საიდანაც ორი შიშველი ქალი ამოხტა სიმღერით — „Happy birthday, To you...“ თუმცა იცოდა, რომ მის ქმარს სხვა ქალები საერთოდ არ მოსდის თვალში თავისი უმშვენიერესი ცოლის ფონზე. „ეჭვით იტანჯება მხოლოდ ის, ვინც თავის პარტნიორში დარწმუნებული არ არის“ — განმარტავს დემი და ამით თითქოს პასუხობს შეკითხვაზე — ეჭვიანობს თუ არ ბრუსი, როცა სხვა მამაკაცთან ერთად ხედავს თავის ცოლს ლოგინში შიშვლად ჩამოგორებულს.

დემი მურის საკმაოდ თამამი შეხედულებანი სექსის თაობაზე მისსავე მიერ ნათამაშებ ეროტიკულ სცენებში მტკიცდება. „ფილმის გადაღებისას შიშველი მსახიობი ისეთი უკომპლექსო უნდა იყოს, რამდენადაც მას არტისტული ნიჭი აძლევს ამის საშუალებას და ამგვარი სცენა შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ ამ თამაშის ფიზიკური ენერგია არსებობს, ესეც დემის აზრია და კიდევ — როცა ფილმის სიუჟეტი სექსუალურ სცენას ითვალისწინებს, მსახიობმა უნდა შეძლოს თავისი სხეულის სრული დამორჩილება, ხოლო სიშიშვლე აქ ისეთივე აუცილებელი პრინციპია, როგორიც ლუკმის დაღეჭვის შემდეგ მისი გადაყლაპვა.

ბოლოდროინდელ ინტერვიუებში დემი მურმა ოდნავ შეიცვალა აზრი, ოღონდ ეს უფრო ირონიულ ჭრილში დაფიქსირდა — „ახლა ჩემს თავს რომ ვუყურებ შიშველ მდგომარეობაში, მგონია, რომ ეს მე არ ვარ და მხოლოდ ღიმილით ვუცქერ იმ ეკრანულ სუბიექტებს.

დღეს დემი მური საკმაოდ საქმიანი ქალია; გაიარა რა დიდი გზა პორნოჟურნალების ყდებიდან ჰოლივუდის ყველაზე ძვირადღირებული მსახიობის მდგომარეობამდე, იგი ახლა საკუთარ საპროდიუსერო კამპანიას ფლობს. მისათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ პურიტანმა და ქალთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა მკაცრად გააკრიტიკეს ფილმი „სტრიპტიზიორი ქალი“, მაგრამ იგი აქაც საქმიანი ტონით განმარტავს: „ის, რაც ამ ფილმშია ნაჩვენები, სიმართლეს შეესაბამება და ჩემი ბრალი სულაც არ არის ის, რომ გარკვეულ პირებს სექსუალური არასრულყოფილება ტანჯავს“

მასალა მომზადდა
გაზეთ „**Любовь**“-ის მიხედვით.



### მეოთხე შვილი შემდეგისათვის გადაიდო

ორიოდე თვის წინ ვარსკვლავთა წყვილმა (დემი მურის და ბრუს ვილისის შემადგენლობით) განაცხადა, რომ ელიან თავის ოჯახში ნამატს და თანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ბიჭი იქნებოდა. სამწუხაროდ მსახიობების ვარაუდი ნაჩქარევი აღმოჩნდა, რადგან სულ ახლახან დემიმ თავისი ვერშობილი შვილი „დაკარგა“. ეს სამწუხარო ამბავი მოხდა მას შემდეგ, რაც მსახიობმა აიგო, რომ დედამისი ლოგინად ჩავარდა გულის მწვავე შეტევის გამო. დედისადმი ამგვარი დამოკიდებულება კი იმითაა განპირობებული, რომ იგი უმამოდ გაიზარდა და ცხოვრების ერთადერთ საყრდენად ყოველთვის დედა ჰყავდა.

### დიდი სექსის პატარა ისტორიები

ახალგაზრდა ინდიელმა ცოლის შერთვა მოისურვა და მივიდა ბელადთან, რათა საამისოდ ნებართვა მიეღო. ბელადმა უთხრა:

— შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და არც-კი იცი, როგორ უნდა მოეპყრო ცოლს; ამიტომ წადი ტყეში, ფუღუროიანი ხე მოძებნე და ივარჯიშეო.

გავიდა ხანი, ბელადმა ჭაბუკს ნება დართო, რომ ცოლი შეერთო. ჭაბუკმა ცოლი თავის კარავში შეიყვანა, ლოგინზე წამოაწვინა, დასწვდა ჯოხს და ცოლს რამოდენიმეჯერ ძლიერად დაარტყა.

— ვაი! მტკივა — წამოიძახა ცოლმა.

— მოითმინე! მე ვიცი, რასაც ვაკეთებ — უთხრა ინდიელმა — მე უკვე მაქვს გამოცდილება! — ჯერ ფუტკრები უნდა გავრეკო...

* * *

ერთი ქალაქელი ეუბნება მეგობარს:

— მე გადავწყვიტე ცხოვრების წესი გამოვიცვალო. ახლა წავალ სახლში, ჩემს ცოლს ვეტყვი, რომ სხვა ქალს აღარ გავეკარები და ის მაპატიებს.

საღამოს იგი გამოუტყდა ცოლს, მაგრამ ცოლი ჩააცივდა:

— ის შენი საყვარელი, ალბათ, ის ქერათმიანი ქალია, მეზობელ ქუჩაზე რომ ცხოვრობს?

— არა, ის არ არის.

— მაშინ ჩვენი ბიჭის მუსიკის მასწავლებელია?

— არა, ნუ მაწამებ ქალო!

— ის შავგრემანი ქალი ხომ არ არის, სახლმმართველობაში რომ მუშაობს?

— არა, გითხარი არა-მეთქი!

— თუ ასეა, არ გაპატიებ!

მეორე დღეს კაცს იმ მეგობარმა ჰკითხა!

— რაო, გაპატია ცოლმა?

— არა, არ მაპატია, მაგრამ სამი კარგი კანდიდატურა დამისახელა!..

* * *

— თქვენ როგორ გირჩევნიათ ძილი — საცვლებით თუ მაისურით?

— ფეხსაცმლით.

— რატომ?

— ფანჯრიდან გადახტომა მიწევს ხოლმე და იმიტომ.

# საიდან მოდის სილამაზე...



### მშვენიერების აპოთეოზი

ეს უმშვენიერესი ქალი იტალიელი მონიკა ბელუჩი გახლავთ, რომელიც შტურმით იპყრობს კინოსამყაროს. მომხიბლავ ტოპ-მოდელს, რომელმაც ახლა მსახიობობაც დაიწყო, ახალ სოფი ლორენს უწოდებენ. მას შემდეგ, რაც უამრავი ჟურნალის გარეკანზე და სარეკლამო პოსტერებზე გამოქვეყნდა მისი ფოტოები, 25 წლის მონიკამ გადაწყვიტა ბედი კინოში ეცადა და სხვა მოდელებისაგან განსხვავებით, გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. იგი გადაიღეს ხუთ იტალიურ ფილმში და კოპოლას ისეთი ცნობილ ნამუშევარშიც კი, როგორიცაა ბრემ სტოკერის დრაკულა“.

მონიკა თავისი სექსუალობის საიდუმლოს ასე ხსნის: ‘უპირველესად უნდა იცოდე, როგორ იმოძრაო — ამბობს იგი — გარდა ამისა, ვნებიანობა ეს მხოლოდ ლამაზი სხეული და მკერდი არ არის, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ხელები და ბეჭები“.

# ... ფული



### ორიოდ ფაქტი

სტირპიტიზიორის პროფესია ისეთივე ტრადიციულია ჰოლივუდისათვის, როგორც შერიფის ან კოსმიური სტუმრის ფიგურა. სტრიპტიზიორის როლი ნათამაშები აქვთ ისეთ ცნობილ მსახიობებს, როგორებიცაა ჯოან ვუდვორდი, მელანი გრიფიტსი, ლოლიტა დავიდოვიჩი, გოლდი ჰოუნი, ელიზაბეტ ბერკლი... თუმცა მთელი მათი ჰონორარი ერთად რომ შეიკრიბოს, ალბათ, იმის ნახევარიც არ იქნება, რაც დემი მურმა მიიღო თავისი „სტრიპტიზისათვის“.

### მილიონერი ქალები

ჩვენ აქ მხოლოდ კინომსახიობებს გავიხსენებთ ანუ მათ, ვისაც საკუთარი გარეგნობის (და ნიჭის!) საშუალებით შეუძლიათ ფულის შოვნა და პრინციპულად ვუვლით გვერდს იმ ფაქტს, რომ ყოველ ქალს გააჩნია პოტენციური საშუალება იმისა, რომ მილიონები მილიონერი საყვარლის ჯიბიდან იშოვოს.

**დემი მური** — 20 მილიონი დოლარი

**ჯულია რობერტსი** — 16 მილიონი „მტერთან ერთად ლოგინში“.

**სანდრა ბალოკი** — 14 მილიონი (ფილმი „სანამ შენ გეძინა“).

**მეგ რაიანი** — 11 მილიონი („როცა კაცს ქალი უყვარს“).

**ვუპი გოლდბერგი** — 10,5 მლნ. („იმოქმედე, დაო!“).

**შერონ სტოუნი** — 10,5 მლნ. („ძირითადი ინსტიქტი“).

**მიშელ ფაიფერი** — 8 მლნ. („სახიფათო აზრები“).

**ჯუდი ფოსტერი** — 8 მლნ. („ბატკნის დუმილი“).

**მერილ სტრიპი** — 6 მლნ. („ველური მდინარე“).

**P.S.** ინფორმაცია, შესაძლოა, მოძველებულია, მაგრამ, სამაგიეროდ, ქალი და ფულია მარადიული!

# სტრიპტიზის მოკლე ისტორია



სტრიპტიზი 1893 წლის 9 თებერვალს მულენ-რუჟში გამართულ მეჯლისზე იშვა, როცა ვინმე „ნატურშჩიცამ" — სახელად მონამ — გადაწყვიტა ტანსაცმელი გაეხადა პუბლიკის გასართობად. მონას „კაპრიზმა" სენსაცია მოახდინა და პარიზის ღამის კლუბების მეპატრონეებმა ერთხმად აიტაცეს ეს „წამოწყება". სცენაზე გაშიშვლება საფრანგეთის დედაქალაქის ყველა ვარიეტეს „მთავარ ნომრად" იქცა. მას შემდეგ, რაც ოპერეტის გენიამ ოფენბახმა აღნიშნულ მოვლენამდე ორმოცდაათი წლით ადრე „კანკანი" შექმნა, ვარიეტეში (შოუ-ბიზნესში — თანამედროვე ენით) მსგავსი გადატრიალება არაფერს მოუხდენია. თვით „სტრიპტიზის რევოლუციონერი" კი 100 ფრანკით იქნა დაჯარიმებული და ღამე პოლიციაში გაატარა. თუმცა, როგორც გაირკვა, მონას (**მახვილი ბოლოში დასვით — „ფანტ". რედ.**) მრავალი თაყვანისმცემელი აღმოაჩნდა, რომლებმაც საპროტესტო აქცია მოაწყეს პოლიციის სამმართველოს წინ.



... და სანამ მონას წამოწყება პარიზს იპყრობდა, ოკეანის გაღმა ამერიკელი ცენზორები რაღაც გროშადღირებულ მელოდრამაში რეტუშს უკეთებდნენ კადრს, სადაც აღმოსავლელი ფატიმა შიშველი — ჭიპის დემონსტრირებას ახდენდა და შედეგად შეიქმნა ისეთი ეფექტი, თითქოს ფატიმა მესერის მიღმა ცეკვავდა.

ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი სწორედ მაშინ ეწვია მულენ-რუჟს და სტრიპტიზის ოფიციალურ მემატიანედ იქცა, გარეგნულად უკიდურესად მახინჯმა ტულუზ-ლოტრეკმა, სწორედ რომ უკიდურესი სიხარბე გამოიჩინა ეროტიკის მიმართ და ამ გენიალურმა და ცეროდენა კაცმა ჩვენ იმ პირველი სტრიპტიზიორი ქალების სახეები შემოგვინახა. მის მრავალ „მუზათა" შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა კაბარეს ვარსკვლავი მადმუაზელ ავრი, რომელმაც, ლოტრეკის მტკიცებით, მას ვენერიული დაავადება შეჰყარა და სამარეშიც ამის გამო ჩააწვინა, თუმცა თავად სტრიპტიზიორი მხატვართან ინტიმურ კავშირს უარყოფდა.

აშშ-ში სტრიპტიზი მხოლოდ მე-20 საუკუნის ოციან წლებში მივიდა, სტრიპტიზი ვარიეტებისათვის ერთადერთი საშუალება იყო, რომ დაეკავებინა ის პუბლიკა, რომელიც უფრო მეტად იწევდა კინოდარბაზებისაკენ. თუმცა კინომ, ჰოლივუდის ქურდბაცაცობით, სტრიპტიზიც გადაიტანა ეკრანზე და ამით ვარიეტეს აღსასრულის დღეც დადგა. მაგალითად, რეჟისორი რას მეიერის ფილმი „უსინდისო მისტერ ტიზი", რომლის მთავარ გმირს ქალის სამოსის მიღმა შიშველი სხეულის დანახვა შეეძლო, სრული ორი წლის განმავლობაში ლოს-ანჯელესის კინოთეატრებს ავსებდა, სანამ ცენზურამ არ აკრძალა მისი ჩვენება.

სტრიპტიზის ისტორიაში ყველაზე ცნობილი პიროვნება, ალბათ, იყო ჯიფსი როუზ ლი და არა იმიტომ, რომ განსაკუთრებული სილამაზე ან ცეკვის რაიმე სტილი გააჩნდა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მან დაწერა ავტობიოგრაფია, სახელწოდებით „ჯიფსი" (ანუ „ბოშა ქალი"), რომელიც უმალ იქცა ბესტსელერად.



ასი წლის განმავლობაში ყოველივე ეს, ალბათ, უნდა მობეზრებოდა ხალხს, მაგრამ, რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, ჟანრის კრიზისი ჯერ არ დამდგარა და სტრიპტიზი ახალ და ახალ ფორმებს იძიებს. ახლა ამერიკაში თხუთმეტჯერ მეტი დაწესებულებაა სტრიპტიზის, ვიდრე ორმოცდაათიან წლებში.


**გამოვიდა ახალი ნომერი გაზეთისა**

## „ო, მოდა, მოდა"



**გირჩევთ ყურადღება მიაქციოთ და გადაიკითხოთ!**




# ... სიყვარული

## გადამეტებული სიყვარულიც ავადმყოფობაა

### (ანუ „კარმენის" სინდრომი)



„ერთნაირად მოსაბეზრებელია, როგორც ბედნიერი, ასევე უბედური შეყვარებულის აღსარების მოსმენა"

***პროსპერ მერიმე***

*სავსე მთვარე ანათებს, ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი, თქვენი შეყვარებული ადამიანი კი გეუბნებათ, რომ ისე ძალიან უყვარხართ, რომ ყველაფრის გაკეთება შეუძლია თქვენთვის...*

*ფრთხილად! დიახ, მისი ვნებიანი აღსარება ძალზედ რომანტიულად ჟღერს, მაგრამ ის, ვინც სიგიჟემდეა შეყვარებული, გონებას კარგავს, სიყვარულისაგან გონდაკარგული კი ზარშემო მყოფთათვის საშიში პირია.*

უკიდურეს გრძნობათა ტყვეობაში მყოფნი სიბრიყვის მორევშიაც ღრმად შეტოპავენ ხოლმე. ისინი სულ რაღაც ბედნიერი შემთხვევის მადევარნი არიან და ჰგონიათ, რომ ყველგან და ყველაფერში სიყვარული გაამართლებს მათს საქციელს, ზოგი მათგანი, გრძნობათა ბობოქრობისა გამო, უკიდურეს რისკზედაც კი მიდის.

ნეტავ რატომ ვერ ვაცნობიერებთ, რომ რომანტიულ ვნებათა სიჭარბეს მრავალი ბნელი მხარე ახლავს?!

სიგიჟემდე შეყვარებულ ყველა სუბიექტს ერთი რამ აერთიანებს, ესაა უგუნურების სატანური ძალა, რაიც თავზეხელაღებულთა განსაკუთრებულ ფენომენს ქმნის და, რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ ეს სიყვარულია, იცოდეთ — ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა. სიყვარული ჯანსაღი გრძნობაა, რომელმაც ადამიანის ფიზიკური და გონებრივი მშვენიერება უნდა სრულყოს და არა დაამახინჯოს ის! სიმახინჯეს კი, როგორც წესი, ცალმხრივი სიყვარული იწვევს, ამიტომაც ინებეთ ჩვენი პირველი რჩევა:

თუ თქვენი ტრფიალის ობიექტს შეატყვეთ, რომ იგი თქვენს გრძნობებს არ პასუხობს, უმალ დაეხსენით მას, რათა ფსიქიკა არ დაიმახინჯოთ და გახსოვდეთ: ამქვეყნად ბევრია ისეთი არსება, რომელიც თქვენს გრძნობას გაიზიარებს და ბედნიერებას მოგანიჭებთ!



**პირველი მაგალითი — ცეცხლით!**

ვისაც კი ყოფილი საყვარლის ტრუსები ნაკუწ-ნაკუწ უქცევია და იმ საყვარლის ახალი სატრფოს კარწინ დაუყრია, იცის, თუ რა საშინელი რამ არის ეჭვი. თუმცა ზოგჯერ ტრუსების დანაკუწება სულაც არ აკმაყოფილებს მიტოვებულ და გონებადაბნელებულ „მიჯნურს",

ასე მაგალითად:

ოცდაორი წლის როკ-მომღერალ ლიზა ლოუფსს მეტსახელად „მარცხენა თვალი" ერქვა, რადგან კონცერტებისას იგი სათვალის მარჯვენა მინაზე (უკაცრავად თქვენთან და!) პრეზერვატივწამოცმული მღეროდა ნიშნად იმისა, რომ ძალზედ უყვარდა ამ „ნივთის" პატრონი, თავისი ბოი-ფრენდი (ვინმე ანდრე...), და აი, ერთხელაც ამ ანდრემ სადღაც (ასე ვთქვათ) „გაიგულავა" ლიზა ლოუფსის გარეშე და შედეგად ის მიიღო, რომ „მარცხენა თვალმა" ამ „დონ ჟუანის" ორმილიონ დოლარად ღირებული სახლი და ავტომობილი გადაწვა.

სასამართლოზე ლოუფსმა თავი ძლიერი სიყვარულით იმართლა, თუმცა ამ სტრიქონების ავტორები ამტკიცებენ, რომ ეს სხვა არაფერია თუ არა სისუსტე, რაც საკუთარ გრძნობებთან მარცხითაა გამოწვეული.

***ასე რომ, ერიდეთ ეჭვსაც და ცეცხლსაც...***

***ეძებეთ ერთგული პარტნიორი!***

**მეორე მაგალითი — დახრჩობით!**

თუ ახალგაზრა არსებას შეუყვარდა ასაკოვანი „ობიექტი" და თანაგრძნობა ვერ მოიძია, იგი (გოგონა) ან ცრემლად დაიღვრება, ან იგი (ვაჟი) ერთხანს სექსუალური კოშმარებით გაიტანჯება და მალევე გამოჯანმრთელდება, რადგან მას სიყვარულის ხანის უზარმაზარი მარაგი უძევს წინ. მაგრამ თუ ეს ასაკოვან კაცს დაემართა, ანუ — თავისზე ბევრად უმცროსი გოგონა შეუყვარდა, მისთვის ეს, შესაძლოა, ტრაგიკულადაც დასრულდეს.

**ასე მაგალითად:**

ბრუკ ლენონი, ორმოცდათოთხმეტი წლის მამაკაცი, თავისმა ოცდასამი წლის მეუღლემ მიშელმა დაახრჩო. მანამდე კი ლენონმა თავისი 2,3 მლნ. დოლარად შეფასებული ქონება მემკვიდრეობით დაუტოვა ახალგაზრდა მეუღლეს და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სწორედ ეს გახდებოდა მისი ნაადრევი სიკვდილის მიზეზი.

მიშელმა დახრჩობის აქტამდე ორიოდე წლით ადრე თავი შეაყვარა ლენონს და მიაღწია იმას, რომ თავისი ასაკოვანი მეუღლე „გამაოგნებელი" სიყვარულით გააბრუა და სიგიჟემდე მისულ კაცს ანდერძი გამოსტყუა...

ასაკოვანი „მიჯნურები" ხშირად ყველაფერს წირავენ — ოჯახსაც, კარიერასაც, საზოგადოებრივ მდგომარეობასაც და სიცოცხლესაც კი — ოღონდ საკუთარი „მე" ერთხელაც გამოავლინონ...

***ასე რომ, ერიდეთ რისკსაც და, დახრჩობასაც...***

***ეძებეთ თანატოლი პარტნიორი!***

**მესამე მაგალითი — სისხლით!**

შეუძლებელია იმ ბრიყვთა შებრალება, რომლებიც იმდენად ემონებიან სიყვარულს, რომ თავისი „მბრძანებლის" მითითებით ადამიანის მოკვლასაც არ ერიდებიან.

ვინმე ჯეიმზ უაიტს სოფლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, ქმრიანი ქალი პეგი ლოუ შეუყვარდა, პეგიმ აიძულა ჯეიმზი, რომ თავის დის მილიონერი ქმარი მოეკლა და დაჰპირდა მკვლელს, რომ მარადიულად ეყვარებოდა და მოკლულის ქონებასაც გაუყოფდა...

არსებობს ასეთი „პედაგოგიური" სიყვარულის მეორე ვარიანტიც: ოცდაორი წლის პამელა სმარტმა რომანი გააბა თავის თხუთმეტი წლის მოსწავლე ბილი ფლინთან, ქალი აშინებდა რა მოზარდს იმით, რომ მიატოვებდა მას, აიძულა ბიჭი და ქმარი მოაკვლევინა; აქ ჩვენთვის მთავარია არა შედეგი, არამედ ფაქტი, ანუ: არასასურველი ადამიანის თავიდან მოცილების საუკეთესო საშუალება ბრიყვი საყვარლის კიდევ უფრო გაბრიყვებაა...

***ასე რომ, ერიდეთ სიბრიყვეს და სისხლს...***

***ეძებეთ გონიერი პარტნიორი!***

ხომ არ ნიშნავს ყოველივე ზემოთქმული იმას, რომ ძლიერი სიყვარული, რაზედაც ყოველი ჩვენთაგანი ოცნებობს, მხოლოდ ავადმყოფობაა და სხვა არაფერი?

... რომ ყოველი „მოთაყვანე და მკვნესარე" არსება ბრიყვი და უგნურია?!

არა! არამც და არა!

უბრალოდ ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ ნებისმიერ სპეტაკ გრძნობაშიც კი არსებობს რაღაც ზღვარი, რის გაღმა-გამოღმა ჯანსაღი სიყვარული და მონური თავდავიწყებაა განლაგებული.

ასე რომ:

ის, რასაც სიყვარულს ვუწოდებთ, თანასწორი და თანაზიარი უნდა იყოს, რათა მასში ჩართული ობიექტების ფსიქიკური გამრუდება არ გამოიწვიოს!

**მასალა ერთობლივად მოამზადეს თანამზრახველმა „პარტნიორებმა": ამერიკელმა (ჟურნალისტმა) მერილინ სტასიომ და ქართველმა (მეგაზეთემ) ალექსანდრე ელერდაშვილმა.**

# ... პრობლემა?

არასოდეს გაგჩენიათ ასეთი კითხვა, რომ, კომპიუტერულ სალონში შესვლისას, უპირატესად მამრობითი სქესის პირები შეიძლება ნახოთ, რომლებიც მონიტორებს მისჩერებიან და გაშმაგებით აჩხაკუნებენ კლავიშებს? ან მაშინ, როცა გოგონები სასიყვარულო ინტრიგებით, როკვარსკვლავებით და საკუთარი გარეგნობით არიან გატაცებულნი, ბიჭები კომპიუტერული ტექნიკით არიან გართულნი და ქუჩაში კი არ დაწანწალებენ, არამედ იმავე მონიტორებს არიან მიშტერებულნი და კომპიუტერული თამაშების პერსონაჟთა პრობლემებით არიან დაკავებულნი? ან ვინ არიან კომპიუტერული ტექნიკის მაღაზიების მუდმივი კლიენტები? ეს კითხვები თითქმის რიტორიკულად ჟღერს... მშვენიერი სქესის წარმომადგენელნი შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მე-20 საუკუნის საოცრებას.

დიახ, ეს ფაქტია, რომ კომპიუტერული საქმიანობა მამაკაცთა ერთ-ერთი პრივილეგიაა. და იშვიათ შემთხვევაში ამ საქმეს ქალებიც მისდევენ, რომლებიც ასევე კარგად ერკვევიან რთულ კომპიუტერულ პროგრამებში. ცხადია, რომ ტექნიკა თავისთავად ქალებს არ აფრთხობს და აქ პრობლემა სხვა რამ არის: კომპიუტერული კულტურა შექმნილია მამაკაცთა მიერ და ძირითადად მამაკაცთათვის და ახლა მათსავე კონტროლს ექვემდებარება. ამ სამყაროში ქალის გამოჩენა ერთგვარი მუქარასავით აღიქმება, ანუ ხომ არ „აცდუნებეს" კომპიუტერულ სისტემას ქალთან ურთიერთობა?

ამერიკელი ოჯახების მესამედზე მეტს აქვს სახლში მინიმუმ ერთი კომპიუტერი, მაგრამ მათი მომსახურებით ძირითადად სარგებლობენ მამაკაცები. კომპიუტერების სპეციალისტი ოლივერ სტრიმპელი ამბობს: „მამაკაცებს თვით ტექნიკა ხიბლავს, როცა ისინი მეგობართა წრეში თავისი დისკების ტევადობითა და პროცესორების სიმძლავრით ტრაბახობენ, ეს მათთვის ერთგვარი შეჯიბრია, რითაც ისინი ისევე არიან აღგზნებულნი, როგორც გულშემატკივრები სპორტული სანახაობით". მათთვის ეს რაღაც ვირტუალური რელიგია გახლავთ, სადაც ფაილები ხატად იქცევა, პროგრამები კი წმინდანთა შარავანდედით იმოსება. რაც შეეხება ქალებს, ისინი კომპიუტერის მიმართ ისეთივე დამოკიდებულებას ავლენენ, როგორც მიკროტალღოვანი ღუმელების ან ჭურჭლის სარეცხი მანქანების მიმართ. ქალებისათვის კი მხოლოდ აპარატია, რომელმაც უნდა იმუშაოს.

# ქალი, კაცი და კომპიუტერი

## ბარბი და ნინტენდო

როგორც გაირკვა კომპიუტერისადმი განსხვავებული დამოკიდებულება ჯერ კიდევ ბავშვობაში იჩენს თავს. ხომ ასეა მიჩნეული, რომ ბიჭების მოვალეობა კინკლაობა, ქუჩაში ხეტიალი და სახლში ჭუჭყშიამოგანგლული მოსვლაა, რის შემდეგ ისინი საშინაო დავალებას უნდა მიუსხდნენ მათემატიკაში, რომელიც, როგორც გინდათ თქვით და მაინც წმინდა მამაკაცურ მეცნიერებად ითვლება. გოგონებს კი გაქათქათებული ხელები უნდა ჰქონდეთ და თოჯინებით თამაშობდნენ. ამ უკანასკნელებს სკოლაში არცთუ აძალებენ ზუსტი მეცნიერების შესწავლას და არა მარტო სკოლაში; ხშირად დედები თავზე ხელს უსვამენ გოგონებს და თავს ასე იმშვიდებენ: „მეც მიჭირდაო სკოლაში არითმეტიკა".

პროფესორი სარა დუგლასი მონაწ-



ილეობას იღებდა ღონისძიებაში რომლის მიზანი თინეიჯერ-გოგონათა შორის არატრადიცულ პროფესიათა პროპაგანდირება იყო. სანამ თავის კომპიუტერში საოცრად საინტერესო პროგრამა ჩადო და ელოდა, რომ მის გარშემო ცნობისმოყვარეთა ბრბო მოიყრიდა თავს... ამ ბრბოში თითქმის არ გაერივნენ გოგონები, რომლებმაც არც-კი შეხედეს კომპიუტერს. როცა სარამ ამის მიზეზი გამოიკითხა, გოგონებმა უპასუხეს, რომ „კომპიუტერი მხოლოდ მათი მამების და ძმების ტვინის საჭყლეტი რამ არის. ხსენებულმა პროფესორმა ასეთი დასკვნა გამოიტანა: „ქალები კომპიუტერულ სამყაროში შესვლისას ძალზედ მალე კარგავენ ინტერესს მის მიმართ".

თუმცა სადღაც 10-12 წლის ასაკამდე გოგო-ბიჭები თანაბრად არიან დაინტერესებულნი კომპიუტერებით. შესაძლოა, ეს მხოლოდ „თამაშის" ფენომენითაა გამოწვეული, რაც ერთგვარად აღელვებს ამ ასაკის მოზარდებს. ისიც ცხადია, რომ ამ თამაშების შემქმნელნი უპირატესად მამაკაცები არიან და მათს მიერ მოფიქრებული კომპიუტერული სიუჟეტები მრავალი ძალადობის შემცველია. ბიჭებს ეს, ალბათ, მოსწონთ კიდევაც, მაგრამ გოგონებს? ისინი უფრო მსუბუქ და „რბილ" თამაშებს არჩევენ, ზოგიერთ მათგანს არც-კი მოსწონს, როცა ეკრანზე პერსონაჟები იხოცებიან. ასე რომ, კომპიუტერი „არაქალური თემათა" სიაში მოექცა ისევე, როგორც ჯიპის ძრავი და ბეისბოლი.

არადა, ყველაზე პირველი პროგრამისტი სწორედ ქალი იყო და ეს ადა ლავლეისი გახლდათ, რომელიც მე-19 საუკუნეში ჩარლზ ბარბიჯთან ერთად „ანალიტიკური მანქანის" შექმნაზე მუშაობდა. აი, იგი პროგრამისტობის პარალელურად ცნობილი ტოპ-მოდელი რომ ყოფილიყო, ახლა, ალბათ, ასი ათასობით გოგონა ჩაიკეტებოდა თავის საძინებელში, კომპიუტერთან ერთად (ვისაც, რა თქმა უნდა შუქი აქვს... — „ფანტ." რედ.). ამის ნაცვლად ახლა ისინი მთელ დროს ფრჩხილების გაპრიალებას და თმების ვარცხნილობას ანდომებენ, გარშემომყოფნი კი სხვა არაფერს ჰრც ითხოვენ მათგან. მაშ, ვისი ბრალია, რომ გოგონებს კომპიუტერი საერთოდ არ აღელვებთ?

არ სურთ რა ამ ფაქტთან შეგუება, სპეციალისტები სკოლებში განსაკუთრებულ პროგრამებს ნერგავენ, რათა გოგონები კომპიუტერით დააინტერესონ. სწორედ საამისოდ შექმნა ელექტრონული ფოსტის, E-mail-ის, ქსელი, რაც გოგონებს მათთვის ყოველთვის საყვარელი „მიმოწერის" საშუალებას აძლევს.

## E-mail

ელექტრონული ფოსტით კონტაქტის დამყარება „პარტნიორის" სრულიად ახალი რაკურსით წარმოჩენას უწყობს ხელს. აი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორის, დებორა ტანენის მონათხრობი: „ამ ფოსტამ მე ჩემი პარტნიორის, რალფის უკეთ გაცნობა შემაძლებინა. მიუხედავად იმისა, რომ მისი კაბინეტი ჩემი კაბინეტის გვერდითაა, ჩვენ იშვიათად ვესაუბრებოდით ერთმანეთს, რადგან იგი ძალზედ მორცხვია. როცა ჩვენ პირისპირ ვსაუბრობდით, რალფი რაღაცას ბურტყუნებდა, ხოლო როცა ელექტრონული ფოსტით დავიწყეთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მე რალფის პიროვნება დავინახე და ჩვენ ნამდვილი პარტნიორები გავხდით".

მართალია, ეს ცოტა ბრიყვულად ჟღერს, მაგრამ კომპიუტერის საშუალებით სიყვარულის ახსნა ძალზედ მოსახერხებელია სწორედ მამაკაცთათვის რომლებსაც, პირადი კონტაქტისას, სახის სიწითელე და ენის ბორძიკი ხელს უშლით „მარადიული" სამი სიტყვის წარმოსათქმელად. ჰოდა, გასაგებია, თუ რატომაა ადვილი მონიტორს „აუხსნა სიყვარული" და ამით ზედმეტი უხერხულობა აიცილო თავიდან და, რაც ყველაზე მთავარია — ყოველთვის შეიძლება კომპიუტერის გათიშვა!

## «შენ ჩემი მონა იქნები!»

რა თქმა უნდა, ყველაფერს მათემატიკას ვერ დააბრალებ და არც ისაა განმსაზღვრელი, რომ კაცები უფრო დაინტერესებულნი არიან ტექნიკით. მამაკაცების მამლაყინწური ფსიქოლოგია კომპიუტერთან ურთიერთობაშიც იჩენს თავს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ ასეთი დევიზი გააჩნიათ: თუ არ ბატონობ, შენ, სხვისი საბატონო გახდები! ანუ: კომპიუტერი, როგორც წესი, „ცდილობს" დაიმორჩილოს პარტნიორი და საკუთარ ნებაზე ატაროს იგი, რასაც არცერთი ნორმალური მამაკაცი არ შეეგუება და იწყება ბრძოლა „ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე", რომლის განმავლობაში მამრებს ერთადერთი სურვილი ამოძრავებთ — დაიმონონ პარტნიორი! — რაც სავსებით ლოგიკურია, ქალები კი კომპიუტერში თანამზრახველებს ეძებენ და რაკილა მძაფრ გონებრივ დატვირთვას არიდებენ თავს, ხშირად წყვეტენ პაექრობას მანქანასთან, რომლისაგანაც მხოლოდ ინფორმაციის მიღებას ელიან და არა რთული ფაილების დამორჩილებას.

კომპიუტერულ სამყაროს ასეთი დევიზი აქვს: „თუ ჩემთან ბრძოლა არ შეგიძლია, მომერიდე!" ეს ძალიან ჰგავს იმ სიტუაციას, როცა მამაკაცები კონკურენციისა და ლიდერობის ჟინით შეპყრობილნი გზას მიიკვლევენ თვითდამკვიდრებისაკენ. ქალებს კი უფრო შემგუებლური ბუნება აქვთ და ამით ამქვეყნად მეტოქეობის ნაცვლად უფრო თანაზიარობა სჩვევიათ: ამიტომაცაა, რომ კომპიუტერთან ინფორმაციულ ჭიდილს თავს არიდებენ და ამ მანქანაში თვითდაჯერებულ და მკვეხარა სუბიექტს ხედავენ, რაც არცერთ ნორმალურ ქალს არ მოსწონს, თუ ასეთი თვისებები პარტნიორში აღმოაჩინა.

**ბარბარა კანტროვიცი**
ამერიკელი ჟურნალისტი

**რედაქციის მინაწერი:**
ასე რომ კომპიუტერულმა ეპოქამ შექმნა რაღაც ახალი სამკუთხედი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან კაცი, ქალი და კომპიუტერი; ეს რა თქმა უნდა, „კასანდრას" სატრფიალო სამკუთხედებს არ ჰგავს, მაგრამ პრინციპში მაინც მსგავსი ფენომენია იმ აზრით, რომ „მესამე ყოველთვის ზედმეტია"

... მაგრამ რომელია ეს მესამე?!

# სიყვარული (კომპიუტერული) სადენებით



უცნაურობებით აღსავსე აშშ-ში კიდევ ერთი უცნაური ფაქტი დაფიქსირდა; მართალია, საქმე ეხება ისეთ ბანალურ მოვლენას, როგორც განქორწინებაა, მაგრამ ნიუ-ჯერსის შტატის მცხოვრებ ჯონ გიოდენის შემთხვევაში ცოლთან განშორების არაორდინალური საფუძველი იქნა მოტანილი და ეს გახლავთ „საინტერნეტო ქსელის სატრფიალო რომანი", რომელიც მისმა ცოლმა გააბა ჩრდ. კაროლინაში მცხოვრებ ერთ ცოლშვილიან კაცთან. უცნაურობა ის გახლავთ, რომ „იტნტერნის რომანის" მონაწილენი „არაფერი ისეთი" კონტაქტებით არ ღალატობდნენ თავიანთ მეუღლეებს, რაც კლასიკური „რქების დადგმით" გამოიხატება. რაც შეეხება გრძნობებს, ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი შესაძლოა ნამდვილად წრფელ ხასიათს ატარებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ „ინტიმი" კომპიუტერული სადენებით ხორციელდებოდა.

უფრო მეტიც — „ვირტუალური სიყვარული" რაღაცით უფრო ამაღლებული და დიდსულოვანია, ვიდრე „ტრფობა მიწიერი"; კომპიუტერულ სიყვარულში ხომ მთავარია არა პარტნიორის გარეგნობა, არამედ მისი აზრები და გრძნობები, ერთი სიტყვით — შინაგანი სამყარო, რაც თანამოსაუბრის გულახდილობასა და გულღიაობას განაპირობებს. „ყოველივე ეს უნებლიედ აიძულებს მამაკაცებს, აკეთონ ის, რაც ყოველდღიურობაში მათთვის უცხოა, ანუ ჰქონდეთ ემოციათაგან დაცლის საშუალება, ამის გარეშე კი მათ ქსელში არაფერი ესაქმებათ.

თუმცა კომპიუტერული „ინტიმი" ყოველთვის არ არის გულახდილი. აქ ხომ სახე არ ჩანს და მოსაუბრეს ყოველ წუთს შეუძლია „შეიცვალოს" გარეგნობაც, ასაკიც და სქესიც კი. ერთმა ორმოცი წლის ბოსტონელმა, რომელსაც ეგონა, რომ მისი „ინტერნეტული სატრფო" ოციოდე წლისაა, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მას მაიამიდან 90 წლის ქალი ესიყვარულებოდა და თანაც მოხუცთა თავშესაფარიდან.

## პრობლემის შესაბამისი ანეკდოტი

პირველი კომპიუტერი რომ ჩაიტანეს ქუთაისში, ასეთი რეკლამა გაუკეთეს – „ყველა კითხვაზე ზუსტ პასუხს იძლევაო" – და ჭიჭიკიამაც დაუწერა კითხვა:

„– სად არის მამაჩემი?"

– მამაშენი გოგისვანიძეებში ქეიფობს" – იყო პასუხი.

„– აბდალიოა, აი, კომპიუტერი (სიმონ!) – შეიცხადა ჭიჭიკიამ – მამაჩემი ომშიაო დაღუპული!"

მაგრამ მცირე ხნის შემდეგ სხვაგვარად დაუსვა კითხვა

„– სად არის დედაჩემის ქმარი?"

და კომპიუტერმა უპასუხა:

„– დედაშენის ქმარი 1943 წლის თებერვალში დაიღუპა სტალინგრადთან, მამაშენი გოგისვანიძეებში ქეიფობს!"


სტუდია „ვიდეოეკრანი" გთავაზობთ:
პოპულარულ ვიდეო და აუდიო ჰიტ-პარადებს

სტუდია «ვიდეოეკრანის» ჰიტ-პარადი

1. Обмен (Максимальный риск)
(ჟან-კლოდ ვან დამი, დენი აიელო,, ერიკ შტოლცი) – ბოევიკი
2. Майкл
(ჯონ ტრავოლტა, ენდი მაკდოუელი) – კომედია
3. Звездный путь
(პატრიკ სტიუარტი) – ფანტასტიკა
4. Призрак и тьма
(მაიკლ დუგლასი, ველ კილმერი) – სათავგადასავლო ბოევიკი
5. იესო
ლუკას სახარების მიხედვით
6. Библия
ისტორიული
7. Выкуп
(მელ გიბსონი, რენე რუსო) – სათავგადასავლო ბოევიკი
8. Один прекрасный день
(მიშელ პფაიფერი, ჯორჯ კლუნი) – მელოდრამა
9. Долгий поцелуй на ночь
(ჯინა დევისი, სამუელ ლ. ჯეკსონი) – სუპერ-ბოევიკი
10. Адреналин
(კრისტოფერ ლამბერტი, ნატაშა ჰენსტრიჯი) – ფანტასტიკა/ბოევიკი

62-72-38

სტუდია «ვიდეოეკრანის» მომავალი კვირის კინო-სიახლენი

1. Теневой заговор
(ჩარლი შინი, დონალდ სეზერლენდი, ლინდა ჰემილტონი)
2. Английский пациент
(ჟულეტ ბინოში, რალფ ფინესი) – დრამა
3. Автокатастрофа
(ჯეიმზ სპაიდერი, რაზანა არკეტი, ჰოლი ჰანტერი)
4. Судебная ошибка
(ბილ პულმანი, რობერტ ლოჯია) – დეტექტივი
5. Перед рассветом
(ეტან ჰოუკი, ჯული დელპი) – კომედია
6. Чемпионы
სუპერ ბოევიკი
7. Кровавая луна
(გარი დენილსი) – ბოევიკი-კარატე
8. Опасная леди
(შერონ უორი) – ეროტიკული ტრილერი
9. Домой дороги нет
(ტიმი როტი, ჯეიმს რუსო) – ბოევიკი
10. Марс
(ოლივიე გრიუნერი) – ფანტასტიკა/ბოევიკი

ყველაზე იაფად ჩაწერილი აუდიო კასეტები «ვიდეოეკრანში» ფასი 1.5 ლარი (ფასდაკლებით)

# კროს-ფანტაზია

## საკროსვორდო შუქ-ჩრდილები



1. მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლი; 2. ავტორი რომანისა „მარტოობის ასი წელი“; 3. ქიმიური ელემენტი; 4. საქართველოს ისტორიული მხარე; 5. სვანური საგალობელი; 6. მოღალატე თავადი „ბაში-აჩუკიდან“; 7. სინიორ ჩელენტანო; 8. ზედმეტი ტვირთი; 9. იტალიის ეროვნული გმირი; 10. წმინდა ქალური პროფესია; 11. სამართალდამცავი პირი; 12. „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 13. ჰიტლერის წინააღმდეგ მებრძოლი პირი; 14. შტრაუსის საყვარელი „საქმე“; 15. საქართველოს მდინარე; 16. უკანასკნელი პერიოდის ქართული ანეკდოტების „გმირი“ 17. „ალანიის“ ქართველი ლეგიონერი; 18. პურეული მცენარე; 19. მთების „თვისება“; 20. თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი; 21. მამრობის წართმევა; 22. გლობუსის შემადგენელი ნაწილი; 23. „ჭმედების“ სახესხვაობა; 24. ზევსის დედა; 25. ქართველი ფსევდონიმიანი პოეტის სახელი; 26. ლიტერატურული საგანელიძის სახელი; 27. უნგრეთის ქალაქი; 28. ლეილა აბაშიძის კინოროლი; 29. „ოტელოს“ პერსონაჟი; 30. ბიუროკრატიის (.. და არა მარტო მისი) აუცილებელი თავშეყრა; 31. ბაგრატიონთა მშობლიური მხარე-ტოპონიმი; 32. ცხენის სახესხვაობა; 33. რა შეიძლება დაკარგოს სტუდენტმა; 34. მამალაძეც და კვალიაშვილიც; 35. მე-20 ს. ამერიკელი მწერალი; 36. ორატორის სამოღვაწეო „სივრცე“.

### „ფანტაზია“ № 13-ის პასუხები

(საფრანგეთი) თარაზულად: 6. ანგაჟემენტი; 7. პროსპერი; 8. ლამარტინი; 13. აპოლინერი; 14. სტრატეგია; 16. რენო; 17. ვაცლავი; 18. იდილია; 19. ზოო; 20. ნიცა; 21. დრამატურგი; 23. ოტო; 25. კრიტიკული; 28. მიხალკოვი; 30. ემე; 31. ბიზე; 32. მაიონი; 36. ანო; 37. ბრეტანი; 38. ზლარბი; 40. პროვანსი; 41. მელქიორი; 42. ათენი.

შვეულად: 1. ანტრეპრენიორი; 2. მარსელიოზა; 3. ქელეზნოვოდსკი; 4. მელიორაცია; 5. მორუა; 9. მატრიკული 10. რუანი; 11. იბერია; 12. ინიციატივა; 15. კაკაო; 22. გრაციოზული; 24. სკანდალი; 26. ტომი; 27. ლეიკემია; 29. ბერანჟე; 32. მაიამი; 33. ონორე; 34. უბირი; 35. აბანო; 39. ავე.

(მალულა) თარაზულად; 9. ხათრი; 10. პარაფსიქოლოგი; 12. სპენდიაროვი; 13. ოსოქოლო; 15. არჩეული; 16. ფშატი; 17. რეი; 21. ციმერმანი; 22. გარესევანი; 24. ბაო; 25. სტანდარტული; 26. ჩიო; 29. გინეა; 30. ფრედი; 31. იმპერია; 34. კოუბა; 35. კრონა; 36. კანტი; 40. კოტორაშვილი; 41. კონიაკი; 43. გვადელუპე; 44. კომისრები.

შვეულად: 1. პასპორტიზაცია; 2. ორანჟერეა; 3. კასრი; 4. ბალვაში; 5. უსი; 6. მქისე; 7. ალექსეევი; 8. მგელი; 11. დიპლომატი; 14. ატლანტი; 18. ანანური; 19. ქსილემა; 20. ანტიბიოტიკები; 23. ბანდეროლი; 27. გენოფონდი; 28. ნეგატიური; 32. ებრაელი; 33. ძნა; 37. მოცვი; 38. სვაპო; 39. სონია; 42. ჰოე.

(ფრანგები)

თარაზულად: 14. აკვალანგი; 15. მერიმე; 16. რეალიზმი; 17. კორეა; 20. პილზენი; 21. მოლიერი; 22. ინდივიდი; 23. ოლესია; 25. სპეკალი; 26. ჭიჭოძე; 27. უნივერსიტეტი; 28. სირ; 31. ბრა; 32. ქარავანი; 33. იმუნიტეტი; 34. აბრეშუმი; 36. კრონშტეინი; 38. ირვინი; 41. ჟან; 44. ტრაგიკომედია; 46. სქოლიო; 47. ასლი; 49. იზაბელა; 50. აზია; 53. პროტოტიპი; 55. იუანი; 57. ჟინოლა; 58. რაინისი; 60. კანი; 62. ეკიუ; 63. შერბური; 64. ალილუევა; 67. ლეიბი; 70. კორდე; 72. კალიუმი; 73. სკანდინავია; 75. ელეგია; 77. ორლი; 79. კრიმინალი; 82. რევერანსი; 83. ტარტარენი; 88. ავანსი; 89. პილიგრიმი.

შვეულად: 1. ეკზიუპერი; 2. ბალზაკი; 3. მაგნოლია; 4. ეგო; 5. პერიტონიტი; 6. სიტროენი; 7. ლეო; 8. ტრანზიტი; 9. ფარისეველი; 10. რიბინსკი; 11. ამნისტია; 12. როდეო; 13. ფემინიზმი; 18. კომისარი; 19. ვოლტერი; 24. ბუბუ; 29. ფანტომი; 30. აშხაბადი; 32. ქაოსი; 35. პატრიცია; 36. კრაზანა; 37. ნაიბი; 39. ვიქტორი; 40. ნელსონი; 42. პოლიტიკა; 43. პლატონი; 45. კულა; 48. სპირალი; 51. ზოოპარკი; 52. აჯანი; 54. ლიბია; 56. ნორდი; 59. ნობილიტეტი; 60. კურო; 61. პუიმანოვა; 63. შავრინი; 65. ლუდოვიკო; 66. აკვანი; 68. მერდინი; 69. მიქსერი; 70. კალაური; 71. რიზე; 74. ნირო; 76. გორილა; 78. რუანი; 80. მოლა; 81. იერი; 82. როკო.



1. რუსი კოსმოკონსტრუქტორი; 2. მაღალი საზოგადოება; 3. კომბლეს საძებარი სამხილი; 4. განმეორადობის მაჩვენებელი ბოლოსართი; 5. ფრანგი მწერალი; 6. მოძრაობათა კომპლექსი; 7. ლიტერატურული „შაგანეს“ შემქმნელი; 8. ლითონის „მტერი“; 9. გამოძახილის სახესხვაობა; 10. კარლო გოლდონის ბერგამოელი პერსონაჟი; 11. ნაომარის მძარცველი; 12. ძველთბილისელ მზიდავ მუშათა „მოწყობილობა“; 13. ვინ არიან ახლა დსთ-ს სათავეში? (მრ. რ.) 14. ოსური ცეკვა; 15. მდინარე ავსტრალიაში; 16. „ძებნა“ — ჟარგონულად; 17. კომუნისტთაგან ცდუნებული ერთ-ერთი ქვეყანა; 18. სასტუმრო თბილისში; 19. „ბედის“ სინონიმი; 20. ე. წ. „მკვდარი ვითარება“; 21. კროსვორდისტისათვის აუცილებელი წიგნი; 22. როგორი დემოკრატია იყო სსრკ-ში? 23. როგორი პიროვნება იყო (ვთქვათ) გიორგი სააკაძე? 24. მეგრული მხედრული სიმღერის მისამღერის ნაწილი; 25. დაცვის სპეციალისტი; 26. არაქართული „სასანთლე“; 27. სატირული ქმნილება; 28. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი; 29. საჭადრაკო ცნება; 30. კოტე მარჯანიშვილის კინოფილმი; 31. ქართველი მხატვარ-კარიკატურისტი; 32. სკკპ-ს ერთ-ერთი ქვეგანაყოფი; 33. როგორი (უაზრო) იყო (თუნდაც) სკკპ ყრილობათა მოწოდებები? 34. გეოლოგიური დროის ერთეული; 35. სიკვდილის როგორი სახესვაობა იცით? 36. საბჭოური ეპოქის ანეკდოტების გერმანელი გმირი.

### მეოთხე ტურის საკონკურსო კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. მხედართმთავარი; 12. პარადისძსი; 13. მეზოზოური; 14. ტიბო; 15. შატობრიანი; 16. ნუნისი; 18. ლენქორანი; 19. გლაუკომა; 20. ვაშა; 21. მაკაო; 24. მოორი; 25. ბისტრიცა; 28. ტოტო; 29. ლითანიშვილი 31. გრეი; 32. ლაციო; 35. გეო; 36. ლიე; 38. ლუარა; 39. პრეტორია; 40. აკრა; 41. ნეიძე; 42. ნეირო; 44. ქლიბი; 47. კოპორტა; 48. პონჩო; 49. სანაი; 51. გრუშე; 53. სქოლასტიკოსი; 55. კოროლიოვა; 58. ბატნა; 61. ნასტასე; 62. კოკო; 63. გულიტი; 66. ნაზიბროლა; 67. იამაგატა; 68. აზო; 69. კვინტილიონი; 70. ბლანტერი; 72. სიმონიანი; 75. ეშერა; 76. სევანი; 80. ისფაჰანი; 83. ჯაში; 86. მენისკი; 88. ლოპე; 90. რადიანტი; 91. კონაკრი; 92. რური; 93. არდებილი; 94. რეაბილიტაცია.

შვეულად: 1. კარაკლაიჩი; 2. მასოპუსტი; 3. ვიბრიონი; 4. ჩითანავა; 5 მიმინოშვილი; 6. ელზასი; 7. აუზი; 8. თხუნელა; 9. თრიაქი; 10. ვატერლოო; 11. რიბენტროპი; 17. იამანიძე; 22. კაშალოტი; 23. ოლიმპიაკოსი; 24. მტილი; 26. რიგოლეტო; 27. ცვედანი; 30. ტრანსპარანტი; 33. ცუკერტორტი; 34. ოსაკა; 35. გაიანა (გვიანა); 36. ლაილაში; 37. ეპოქა; 43. ოჰაიო; 45. ლისაბონი; 46. ბროტოზავრი; 49. სულა; 50. ნეოლოგიზმი; 52. როჩესტერი; 54. ირჟი; 56. ორანგუტანი; 57. ესამბაევი; 59. არბენინი; 60. აგონია; 64. ლაპიაშვილი; 65. ტერნერი; 70. ბასტურმა; 71. გორინი; 73. მანე; 74. ალეკო; 77. ისინდი; 78. ტაპირი; 79. ბარკლი; 81. ამური; 82. ისკრა; 84. ძენგა; 85. ეივე; 87. ინდი; 89. პაჟი.

### ებრაული მოტივები

ტელ-ავივში ორი ებრაელი ეცნობა ერთმანეთს:

— თქვენ საიდან ხართ? — ეკითხება ერთი

— მე — ბადენ-ბადენიდან... თქვენ?

— მე? კულაშ-კულაშიდან!

— იყიდეთ სპილო 1000 მანეთად!

— რას ამბობ, დაგენაცვლე?! მე სულ ორი ოთახი მაქვს, სპილო არ დაეტევა იქ... ან რა ვაჭამო?! არა... არ მინდა.

— მაშინ იყიდეთ ორი სპილო იმავე ფასად!

— ჰოო... ეს უკვე სხვა საქმეა!

კონფერანსიე აცხადებს:

— თქვენს წინაშეა ანსამბლი „ხალხთა მეგობრობა“ შემდეგი შემადგენლობით: პარხომენკო — უკრაინა, მახარაძე — საქართველო, ხუდაიბედიევი — თურქმენეთი, რაბინოვიჩი — ვიოლინო.

რაბინოვიჩი „ოვირ“-ში დაიბარეს და განუცხადეს, რომ მას ისრაელში წასვლაზეს უარი ეთქვა:

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ სახელწიფოებრივ საიდუმლოს ფლობთ.

— კი მაგრამ, მე ხომ იმ სამყაროში ვმუშაობ, რაშიც ამერიკას 20 წლით ჩამოვრჩებით?!

— აი, სწორედ ეგაა სახელმწიფო საიდუმლო!




## 80000 კილომეტრი.. კროსვორდის თანხლებით

### მე-10 გაჩერება — პირენეის ნახევარკუნძული (ესპანეთი და პორტუგალია)

**თარაზულად:** 5. დონ კიხოტის ცხენი; 7. ლათ. ამერიკის ესპანურენოვანი სახელმწიფო; 8. ყველა დროის ყველაზე დიდი ესპანელი (რა? — ეჭვი გეპარებათ?!); 12. რუსეთის ქალაქი (30-იან წლებში; იქაც ჩაასახლეს ესპანელი ბავშვები); 13. შუა სს. პორტუგალიელი პოეტი; 14. ერთი — ესპანურად (ორი-დოს, სამი-ტრეს და ა. შ); 16. აწგარდაცვლილი უნიჭიერესი რუსი ჰოკეისტი (საიდან სადაო?!); 18. ბილბაოს საფეხბურთო კლუბი; 20. ქალაქი პორტუგალიაში; 21. 1982 წ. ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი; 22. სენიორ ლორკას ერთ-ერთი სახელი; 25. თარგმნეთ ესპანურად „მდინარე“; 26. ესპანელთათვის გასართობად ქცეული ცხოველი; 27. სანჩო პანსას „საყვარელი“ ცხოველი; 29. საშუალო სიმაღლის ხე; 32. არგენტინელი (ესპანურენოვანი) დიდოსტატი-მოჭადრაკე; 34. შალვა დადიანის პიესა („კომპრომისო“) — ბოდიშით ბატონებო, ეს სიტყვა კროსვორდს დასჭირდა); 36. ესპანეთის ისტორიულ-ადმინისტრაციული რეგიონი; 37. ესპანელი მხატვარი; 38. ესპანელთა საკორიდო შეძახილი; 40. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 41. თქვენის აზრით, როგორი ხილვები ჰქონდა სალვადორ დალის (როგორი-მეთქი?), გარდა სიურრეალისტურისა?

**შვეულად:** 1. თარგმნეთ ესპანურად — „დამპყრობი“; 2. ესპანელი მხატვარი (პარიზიდან); 3. სქესობრივი გადახრა, პარტნიორის ტკივილის მიყენებით; 4. ერთხანს ესპანეთში მოთამაშე ბულგარელი ფეხბურთელი; 6. გულის რა დაავადება სჭირთ მონსერატ კაბალიეს მსგავს მსუქან ქალებს? 9. დოკუმენტების სარეგისტრაციო წიგნი; 10. ყინულის (ბუმბერაზი!) მთა. 11. ოთხმოციანი წწ. ესპანელი ფეხბურთელი; 15. რა არ სჭირდებათ ხოსე კარერასს და პლასიდო დომინგოს სიმღერისას (იგლესიასისაგან განსხვავებით)? 17. საპრიზო თამაში; 19. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 23. ქალაქი ესპანეთში; 24. ბერძენი ფილოსოფოსი (მასთანაც ჩავალთ!) 28. საკუთარი სჯულისა და პრინციპების უარმყოფი პირი; 30. ლათ. ამერიკის ესპანელი დამპყრობი; 31. ვინ იყო (...ან რა იყო) სერვანტესი? 33. (თუნდაც ესპანელი) მეთევზეების ინვენტარი; 35. მცენარეული სამყარო; 39. რა არის ეს: ბანდერასი, ველასკესი, კალდერონი, ლოპე დე ვეგა, უნამონო და ა. შ?

სუპერფანტაზია

CROSS-GALLERY

# ნაცნობი რუსები — ნაცნობ გაზეთში



**თარაზულად:** 1. რა ერქვა სტალინის ერთ-ერთ ვაჟს? 3. (გოსპოდინ) ლეონტიევი; 5. რუსული რევოლუციების დროს მოღვაწე ქართველი პოეტი. 8. ამერიკაში ემიგრირებული (რუსი) მოჭადრაკე. 11. „ხელოვნური ადამიანი“. 13. რომის ერთ-ერთი იმპერატორი. 15. მე-20 ს. უკრაინელი პოეტი. 16. ქიმიური ელემენტი. 17. ცხრაკაცა. 18. პრესით ვაჭრობის ობიექტი. 19. იის მანიშნებელი სახელი ქალისა. 20. ვინ იქნებოდა კარლ მოორი, მეგრელი ყაჩაღი რომ ყოფილიყო? 21. (იხილეთ ფოტო) რა გვარია? 24. რა გვარის ქართველი მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში? 27. რუსული ესტრადის მომღერალი ქალი. 29. (ერთობ) გაჭირვებული ქართველი მწერალი. 30. ყოფ. გდრ-ს წარმოებული კინოფოტო ფირი. 32. (სამეფო) მუს. ინსტრუმენტი. 33. პარიზის ციხე-სიმაგრე. 35. საავტომობილო შეჯიბრის ასპარეზი. 36. რუსული ესტრადის ლადა. 40. საყვარლის ხარჯზე მცხოვრები მამაკაცი. 41. რუსეთის ქალაქი. 42. პრეზიდენტად კურთხევა. 43. არაბთა „იმპერატორი“. 45. თანამედროვე რუსი ფეხბურთელი. 48. (რუს) მთიელთა სოფელი. 50. ევროპული სახელმწიფოს დედაქალაქი. 51. (კიდევ ერთი) ჭკუასთან უმძრახად მყოფი. 52. რუსეთ-საქართველოს „დამაკავშირებელი“ მეფე. 53. რუსეთის იმპერიის ტერიტ.-ადმ. ერთეული. 54. ინგლისელი მოჭადრაკე-დიდოსტატი. 55. ადამიანთა ურთიერთობის ფორმა. 57. ქართული ნამცხვარი. 58. მსხვრევადი, ანუ... 59. მღვდელთმსახურთა გაერთიანება რუსეთში. 60. ქართული კინოფილმი ველოსიპედისტი ბიჭის შესახებ. 61. საქართველოს „სეპარატისტი“ ქედი. 64. (იხილეთ ფოტო) გაიხსენეთ ამ მწერლის საეტაპო პიესა. 67. (იხილეთ ფოტო) გაიხსენეთ ამ მწერლის ზღაპრისეული პერსონაჟი. 70. (იხილეთ ფოტო) გაიხსენეთ ამ მსახიობის პარტნიორი ფილმში „მიფრინავენ წეროები“. 74. კომპიუტერული საბეჭდი ფხვნილის „ჭურჭელი“. 76. ალექსანდრე მიაგკოვის „ირონიანარევი“ კინოპერსონაჟი. 77. ქსოვილის ნარჩენი. 78. ჩვენი ეპოქის ყველაზე ცნობილი ლატვიელი. 79. ვენესუელას ჩემპიონი დანების მიზანში სროლაში. 80. ინგლისელი ზღვაოსანი, მოგზაური. 82. ნალდი თბილისელი პოეტი. 84. ალმ. აზიელთა მთავარი საკვები. 85. მტრის ზურგში ჯაშუშობის მიზნით შეგზავნილი პირი. 87. ხორციანი საჭმელი. 88. „ოტელოს“ პერსონაჟი. 89. (გოსპოჟა) დავიდოვა. 92. თმის შებრუნება სხეულში. 94. მდინარე ინდოეთში. 95. სისხლნაკლებობა. 96. რწყილის საძებარი პროდუქტი. 97. საგარეჯოს რაიონის სოფელი. 98. იონიზირებული გაზი. 99. საქართველოს ეროვნული გმირი. 101. გაზაფხულის ყვავილი. 102. (ბატონი) დარასელია. 105. (გოსპოჟა) ახმადულინა. 106. (იხილეთ ფოტო) გაიხსენეთ ამ ქალბატონის ერთ-ერთი სიმღერა. 109. (იხილეთ ფოტო) რა გვარია? 111. საქალაქო ტრანსპორტი. 115. (ბატონი) მირცხულავა. 118. რუსი რევოლუციონერი და კულტურის მოღვაწე. 119. № 21-ის და №106-ის საქმე. 120. ჯარიდან დაბრუნება. 121. ფრანგ მეფეთა სახელი. 122. აკუსტიკურ დანადგართა ერთობლიობა. 123. დოსტოევსკისეული პერსონაჟი. 124. მუს. ინსტრუმენტი.

**ვერტიკალურად:** 1. რუსეთის მეფის (ცნობილი) ნაცვალი საქართველოში. 2. ლიტვის კალათბურთის დიდება. 3. (იხილეთ ფოტო) გაიხსენეთ პაროდისტი, რომელიც ამ მომღერალს ბაძავს. 4. თავისი „დროის გმირების“ მემატიანე რუსი პოეტი. 5. (იხილეთ ფოტო) რა გვარია? 6. ფრანგული კინოს ექსცენტრიული მსახიობი. 7. ძალლის „სახესხვაობა“. 8. (იხილეთ ფოტო) გაიხსენეთ ამ კაცის ძმის მეორე გვარი. 9. რუსული პისტოლეტის ავტორი. 10. რომის (კიდევ ერთი) იმპერატორი. 12. ჩეხური ავტომობილი. 14. მიცვალებულის მოსახსენიებელი წერილი. 21. ქალაქი რუსეთში. 22. რუსეთის პირველი ლედი. 23. თამაშგარეთ გასული ბურთი. 24. გოგოლის თხზულების მთავარი პერსონაჟი. 25. სათავადო ტიტული. 26. აშშ-ს „ახალი“ ქალაქი ახლის გარეშე. 27. რუსულ-საბჭოური ჭიდაობა. 28. მაგიის ერთ-ერთი მეცნიერება. 29. მოსკოვის „ლოკომოტივში“ კარიერადამთავრებული ქართველი ფეხბურთელი. 31. (მუსიე) კლერი, ფრანგი კინორეჟისორი. 33. საზღვაო პროფესია. 34. მე-20 საუკუნის რუსეთის (და არა მარტო მისი) „მეფე“. 37. რუსული კინოს აფონია. 38. თავადური წარმომავლობის რუსი კოსმონავტი. 39. რუსული ესტრადის გიტარისტი-ბარდი. 44. ალისა, ოღონდ „სამსახურეობრივი რომანიდან“. 45. თარგმნეთ ინგლისურად-„ცხვირი მალლა“. 46. ჭკუასთან უმძრახად მყოფი. 47. მე-20 საუკუნის იაპონელი კინორეჟისორი. 49. (იხილეთ ფოტო) რა გვარია? 50. სხვისი შრომის მიმთვისებელი. 56. რუსული კინოს კოლორიტული მსახიობი. 61. ქალაქი პოლონეთში. 62. ახლო წარსულის შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელი, მცველი. 63. ქართული ესტრადის ვარსკვლავი. 64. სამხრეთ რუსეთის მდინარე. 65. თანამედროვე რუსი ჯადოქარი (ისე მაგას რა ვუთხარი). 66. ვაჟასეული პერსონაჟი. 67. მე-20 ს. ამერიკელი მოჭადრაკე-დიდოსტატი. 68. პოპოვის „პირმშო“. 69. რუსეთის (სახელაღდგენილი) ქალაქი. 70. უკანასკნელი დროის ქართველი პოლიტიკური ლიდერი. 71. რა ოცდათერთმეტიანი გველის წინ? 72. იგივეა, რაც არაქათი. 73. რუსი კინომსახიობი ქალი („უცრემლო მოსკოვიდან“) 74. სხეულის ნაწილი. 75. გნომის ქართველი „კოლეგა“. 81. რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. 83. წყლის (რუსული) ჭურჭელი. 86. ყველასთვის „გასაგები“ ენა. 88. მინაზე გაჩენილი ხაზი. 90. თანამედროვე რუსი მოჭადრაკე-დიდოსტატი. 91. მომგებიანი ქულა ძიუდოში. 92. იგივეა, რაც ანაზღაურება. 93. ქართველი კალათბურთელი. 94. (იხილეთ ფოტო) რა გვარია? 100. № 94-ის და № 109-ის საქმე. 103. ძვირფასი თვალი. 104. საბუნებისმეტყველო მეცნიერება. 105. №34-ის ერთ-ერთი ეპითეტი. 107. მე-20 საუკუნის უდიდესი საოპერო მომღერალი. 108. უკრაინის პრეზიდენტი. 109. (იხილეთ ფოტო) გაიხსენეთ ამ კაცის ერთ-ერთი გვარი. 110. ქართველი კომპოზიტორი. 112. სააღდგომო ატრიბუტი. 113. გეომეტრიული ფიგურა. 114. (სენიორ) პიკასო. 115. აფხაზეთი აფხაზურად. 116. ფრინველთა პრივილეგია. 117. ციმბირის ქალაქი.

ის, ვინც მთლიანად და უშეცდომოდ შეავსებს კროსვორდს, მიეცემა სამახსოვრო პრიზი და მისი ფოტო გამოქვეყნდება გაზეთში, როგორც მაისის დამდეგის ყველაზე ერუდირებული „ფანტაზიორისა“

## სააღდგომო ხუმრობა

ორმა მთიელმა ძმაკაცმა ორი წითელი მანქანა შეიძინეს.

„— რად გინდოდათ ორივეს წითელი მანქანები?“ — ჰკითხეს.

„— აღდგომაზე უნდა დავაჯახოთო!“ — უპასუხეს.

ი/ს «ფანტაზია»
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№71-1811

ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
პაატა დავითაშვილი
ბაქარ მათიკაშვილი
ზურაბ აბაშიძე
იოსებ გენებაშვილი
მაია კვირიკაშვილი
ქეთი უერთაშვილი
მისამართი:
უზნაძის ქ. 18
(«საქწიგნის» შენობა, I სართული)